

აფხაზური წარმოშობის აფუნ-ის

სემანტიკური ველი მეგრულში

მეგრულში გვხვდება აფხაზური წარმომავლობის სიტყვა **აფუნი** (ყიფშიძე 1914: 197), რომელსაც გამსესხებელ ენაში **აფუნ** ფორმა აქვს და „გაზაფხულს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 6). ამ ლექსემათა ურთიერთობას ჯერ კიდევ პ. ჭარაიამ მიაქცია ყურადღება (ჭარაია 1912: 18).

როგორც ჩანს, **აფუნი** აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთიანობის გათიშვის შემდეგ შეითვისა მეგრულმა, რაზეც ანლაუტის ა ხმოვანი მიგვანიშნებს: აბაზ. **ჰაფუნ**, აფხაზ. **ააფუნ** > მეგრ. **აფუნი**. აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დროინდელ ნასესხობებში შენარჩუნებულია ოდინდელი ვითარება, კერძოდ, ანლაუტში წარმოდგენილია **ღ** თანხმოვანი, შდრ. აბაზ. **ჰანდა**, აფხ. **აანდა**, მაგრამ მეგრ. **დანდა** „ღობე“. სესხების შემდეგ ლაბიალური ფ-ს შემდგომ პოზიციაში **გ > უ**.

მეგრულში სესხების შემდეგ ლექსემამ სემანტიკა რამდენადმე გაიფართოვა.

პირვანდელი „გაზაფხულის“ მნიშვნელობით **აფუნ**-ის გამოყენებას შედარებით ლოკალური ხასიათი აქვს და ძირითადად მთიან სამეგრელოშია დაცული: **ართ აფუნს ყაზახიშა ქიმისარსალე გვერქია** (ყიფშიძე 1914: 174) „ერთ გაზაფხულზე გლახთან მისრიალდა გველი“. **ჩქი გურგინი გიბდგითინი აფუნი რდუ შხაფარელი** (ჩილაჩავა 1992: 74) „ჩვენ გვირგვინი რომ დავიდგით, გაზაფხული იყო ...“. ძირითადად მეგრულში ამ მნიშვნელობით ქართველური წარმოშობის **გაზარხული** დასტურდება.

აფუნი აქტიური, ფაქტობრივად უსინონიმო ფორმაა მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში და ნიშნავს საქონლის გარეკვის დროს

საზაფხულო სამოვრებზე: **აფუნქ ქიდიჭყუ** „საქონლის გარეკვის დრო დადგა“ (წაღენჯ.), „ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ **აფუნის** (მთაზე ცხვრის გარეკის დრო) დროს ტბას ნაპირად მატყლი გამოჰქონდა“ (სახოკია 1985: 376). ეთნოგრაფი იქვე განმარტავს: **აფუნი** „ცხვრის მთაზე გარეკვის დრო“ (იქვე, 363), ამ ლექსემიდან ნაწარმოები **აფუნობა** ნიშნავს „საზაფხულო საქონლის გარეკვას სამოვარზე“ (ელიავა 1997: 21); **საფუნო** „საზაფხულო სამოვარი მთაში, ე. ი. აფუნობის დროის სამოვარი მთის ზონაში“ (იქვე, 285).

აფუნი ისე საფუძვლიანად შემოვიდა მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში, რომ აქედან ქართულში გადავიდა და სამეცნიერო ტერმინადაც კი დამკვიდრდა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ისევე, როგორც აფხაზურზე წარმოშობის **აგვარა: სააფუნო** „საზაფხულო სამოვარია“ (შამილაძე 1986: 152), **აგვარა** კი „სამეურნეო ნაგებობის ტიპი“ (იქვე).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა საანალიზო ლექსიკური ერთეულის კიდევ ერთი, მეტაფორული სემანტიკა – ის თავისუფლებას, განთავისუფლებას აღნიშნავს: **ბაღანა აფუნგმა გუუტე** „ბავშვი სათამაშოდ გავუშვი“, ზედმ. „ბავშვი აფუნზე (თავისუფლად) გავუშვი“; **კუჩხგმა აფუნი ქიმიფჩი** „ფეხზე გავიხადე“, ზედმ. „ფეხს აფუნი (თავისუფლება) მივეცი“. როგორც ჩანს, მეგრელთა ცნობიერებაში **აფუნი** იმთავითვე საქონლის საზაფხულო იალაღებზე გარეკვას, თავისუფლად გაშვებას, განთავისუფლებას უკავშირდებოდა.

ცნობილია, რომ სიტყვათა სესხების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ენობრივ კოლექტივთა მეზობლობაა. მიუხედავად მეგრული და აფხაზურენოვანი კოლექტივების დღევანდელი მეზობლობისა, ეს ლექსემა (ისევე, როგორც მესაქონლეობის სხვა ტერმინები) მეგრულში მეგრელი მწყემსების შემოტანილი უნდა იყოს. მისი შეთვისება გაპირობებული უნდა ყოფილიყო მეგრელი და აფხაზი მწყემსების ყოველდღიური ურთიერთობით მთაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მათ გვერდიგვერდ ჰქონდათ საზაფხულო **კარეები** (კარვები) და **თიფუები** (მწყემსის ქოხები).

გამოყენებული ლიტერატურა:

ელიავა 1997 – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი-მარტვილი, 1997.

სახოკია, 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.

ყიფშიძე, 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-ПБ. 1914.

შამილაძე 1986 – ვ. შამილაძე, მესაქონლეობა საქართველოში, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბილისი, 1986.

ჩილაჩავა 1992 – ზუა დიდა რე ჩქიმი, 100 მეგრული ლექსი, შემდგენლები რ. ჩილაჩავა, ო. ჭითანავა, კიევი, 1992.

ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.-ПБ, 1912.

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954.

საენათმეცნიერო ძიებანი. ტ. X, თბილისი, 2000

Linguistic Papers, X, Tbilisi, 2000